

.....

სამოქალაქო საზოგადოება და გრასრუტ ჯილდოთი

.....

გ. აღზრდა რეგულაცია

ტერმინი „გრასრუტი“ ძლიერი მეტაფორაა, რომელსაც დღეს ფილანთროპიის სფეროს ბევრი დამფინანსებელი და აქტივისტი იყენებს. ტერმინი ხშირად გამოიყენება იმ მიდგომის ანტონიმად, რომელიც ვერტიკალურ (ზემოდან ქვემოთ) ან ელიტების მიერ ნაკარნახევ დაფინანსებას გულისხმობს. გრასრუტი (სიტყვასიტყვით „ბალახის ფესვი“) ნიშნავს ნიადაგს, რომელზეც დავაბიჯებთ, ნიადაგს, რომელიც მყარია და გამამყარებელიც. როგორც ბალახის ფესვები, უბრალო ადამიანებიც, რომლებსაც ამ ტერმინით მოვიხსენიებთ, მიწასთან ახლოს დგანან, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ და იმ კავშირის განსხეულებას წარმოადგენენ, რომელიც ყოფიერების და ჭეშმარიტების წყაროებს შორის არსებობს. ისინი ძლიერები და ამტანები არიან, და დროთა განმავლობაში იმ იარებსაც უვლიან, ამ პლანეტას რომ ვაყენებთ. ღიმილისმომგვრელია ის ფაქტი, რომ ამ ადამიანებს მარტივად ვივინყებთ და გვგონია, რომ ეს ასეც უნდა იყოს. გრასრუტი, ეს არის საშუალო, ან ჩვეულებრივი მოქალაქეების სამყარო, იმ თემებისა და საზოგადოების წევრები, რომლებსაც, ფილანთროპიის ჟარგონი რომ ვიხმაროთ „უჭირთ“. გრასრუტი ხშირად გამხდარა შემოწირულობების მთავარი მოქმედი პირი, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების (მისი ფორმის და გამოვლინების სიმრავლის მიუხედავად) გაძლიერებას ემსახურება.

შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ თვითონ ამ ტერმინს საკამათო სივრცეში გადავყავართ. ეს სივრცე დაკავებული აქვთ ადამიანებს, რომლებსაც ბუნდოვანი, მაგრამ პოპულარული წარმოდგენა აქვთ იმის თაობაზე, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ტერმინი და აგრეთვე მათაც, რომელთა საარსებო წყარო მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სწორედ ამ ტერმინის ინტერპრეტაციაზე, რადგან დაფინანსებამ, შესაძლებელია, გვერდი აუაროს მათ და იმ ადამიანებს მიადგინონ, რომელთა სამუშაოც სხვა, დონორთათვის უფრო მისაღებ განსაზღვრებას შეესაბამება. არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია (NGO) ვეღარ იქნება „გრასრუტი“, თუ მის სათავეში ის ადამიანები აღარ იქნებიან, ვისაც პირდაპირ ეხება ის პრობლემები, რომლებზეც ორგანიზაცია მუშაობს. თუმცა, ბევრი ასევე ამტკიცებს, რომ როგორც კი ჩვეულებრივი მოქალაქეების გაერთიანება

ფორმალურ ხასიათს იძენს, იგი ტოვებს გრასრუტის დონეს და შედის პროფესიონალიზებული საქმიანობის იმ სფეროში, რომელიც უფრო ახლოს დგას საზოგადოების ელიტების ინტერესებთან.

რადგანაც ბევრი არ გამოთქვამს პრეტენზიებს ამ სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, მისმა მოუფრთხილებელმა გამოყენებამ ხელი შეუწყო დროთა განმავლობაში ამ ტერმინის მნიშვნელობის საგრძნობლად გაფართოებას. როგორც ერთ-ერთმა მკვლევარმა აღნიშნა „მოქალაქეთა ჩართულობასა და თემთან დაკავშირებულმა რიტორიკამ ისეთი ბანალური ხასიათი მიიღო, რომ ტერმინი უკვე აზრსაც კარგავს“ (Traynor 2002, 6). ეს ბედი გაიზიარა ფილანთროპიის სამყაროში გამოყენებულმა ისეთმა ბევრმა ტერმინმა, როგორცაა „სოციალური სამართლიანობა“, „სოციალური მენარმეობა“ და სხვები, რომ არაფერი ვთქვათ შეფასების იმ ტერმინოლოგიაზე, რომელთა მნიშვნელობა ძირითადად გაუგებარი და ბუნდოვანია.¹ შესაბამისად, საჭიროა გარკვეული სიზუსტის შეტანა.

გრასრუტ ფილანთროპიასთან დაკავშირებული თეორიასა და პრაქტიკის ირგვლივ აზრთა ბევრი სხვადასხვაობა არსებობს. არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, რომ სახალხო ფილანთროპია ვერასდროს მოიტანს შედეგად მნიშვნელოვან სოციალურ ცვლილებას. თუმცა, ბევრი ფიქრობს, რომ ეს ფილანთროპიის ის ერთადერთი ტიპია, რომელსაც ამგვარი ცვლილებების განხორციელებას შეძლებს. მსჯელობის კიდევ ერთი ხაზი ეხება ჩვეულებრივი მოქალაქეების ჩართულობას სოციალური ცვლილებებისკენ მიმართულ ძალისხმევაში. ან რამდენად უნდა იმართებოდეს ეს ძალისხმევა და მცდელობა იმ ადამიანების მიერ, რომელთაც უშუალოდ ეხება პრობლემა და ხომ არ სჭოვს ამ პროცესს გამოცდილი პროფესიონალი გაუძღვეს? რადგან ღარიბებს თავად აქვთ გამოცდილი სიღარიბეში ცხოვრება და მისი შედეგები, შესაძლებელია და საჭიროა თუ არა, რომ სწორედ ისინი გაუძღვნენ ბრძოლას მათი მდგომარეობის შესაცვლელად? წინამდებარე თავი სწორედ ამ კითხვებს ეძღვნება. გარდა ამისა, განვიხილავთ იმ მტკივნეულ საკითხებსაც, რომლებსაც ამ კითხვებზე პასუხების გაცემის დროს გადავანწყდებით ხოლმე და კრიტიკული თვალით შევხედავთ იმ ვარაუდებს, რომლებიც ხშირად ასოცირდებიან გრასრუტ ფილანთროპიასთან.

1. **კა აკის პკასკუჴ ჴიღანთროპია ღა კაჴომ აკის ის მნიშვნელოვანი?**

რატომ არის ფილანთროპიის ეს კონკრეტული ფორმა ასე საჭირო ან სასურველი? სახალხო ფილანთროპიის მოტივაციები მრავალფეროვანია. ზოგიერთის აზრით, ხალხის მხარდაჭერა თავისთავად დადებითი საქციელია. თემთან მიკუთვნებულობის გრძნობის გაღვივება, თემის წევრების უნარის გაუმჯობესება ადგილობრივი პრობლემების გადაჭრის მიზნით და ჩვეულებრივ ადამიანებში სამოქალაქო მონაწილეობის კულტურის წახალისებაც, როგორც ამ მიდგომების დამცველები ამბობენ, თავისთავად დადებითი მოვლენაა, მიუხედავად იმისა, მოაქვს თუ არა მათ კონკრეტული შედეგები, როგორცაა მაგალითად ახალშობილებში წონის მატება თუ სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა. თუმცა, ბევრ შემთხვევაში, დონორები სახალხო ფილანთროპიას უყურებენ, როგორც ფართოდ აღებული ცვლილების თეორიის უმნიშვნელოვანეს თუ არა, მნიშვნელოვან ელემენტს, ან კონკრეტული სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების ინსტრუმენტს. საინტერესო ისაა, რომ ეს სასურველი ცვლილებები ხშირად დონორის ხედვას ასახავს.

თუ ფილანთროპიას განვიხილავთ, როგორც დროისა და ფულის გაღებას საზოგადოებრივი სარგებლისთვის, შეიძლება გამოვყოთ სახალხო ფილანთროპიის სამი ძირითადი მიმართულება: პირველი ეს გახლავთ იმ საქმიანობების ვერტიკალური (ზემოდან ქვემოთ) მხარდაჭერა, რომლებიც, რაიმე ფორმით, ადამიანებისთვის სარგებლის მომტანია. სახალხო ფილანთროპიის ამ კატეგორიაში დაზარალებულების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუ რა ტიპის საქმიანობა უნდა დაფინან-

სდეს კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად, გათვალისწინებული არ არის. მაგალითად, დონორმა შეიძლება, ძალზე კეთილშობილი მიზნებით, თვითონ გადაწყვიტოს და ისე გადაჭრას უსახლკარობის პრობლემა, რომ უსახლკაროებს არაფერი ჰკითხოს. ეს არის ფილანთროპია „გრასრუტების“ მიმართ.

მეორე მიდგომა ასევე გულისხმობს იმ აქტივობების მხარდაჭერას, რომელიც მიმართულია პრობლემების გადაჭრისკენ, თუმცა, განსხვავებით პირველისგან, ეს მიდგომა უშვებს დაზარალებული თემის წევრების მონაწილეობას გარკვეულ დონეზე მაინც იმ პროცესებში, რომელიც ეხება გადაწყვეტილებებს დაფინანსების და/ან პროგრამის მონაცემის, განხორციელების და შეფასების შესახებ. ზოგი დამფინანსებელი მიზანმიმართულ სამოქალაქო ჩართულობას განიხილავს, როგორც ეფექტური დაფინანსების გასაღებს, ხოლო სხვებისთვის, შეიძლება, კონტროლის მკაცრი ზომების შენარჩუნება იყოს მნიშვნელოვანი. მათი აზრით, შრომის განაწილება კვალიფიციურ და პროფესიონალ თანამშრომლებსა და თემის წევრებს შორის უკეთეს შედეგს იძლევა. ამ მიდგომას „ფილანთროპია გრასრუტებთან ერთად“ ეწოდება.

მესამე მიდგომის მხარდამჭერთათვის ფილანთროპია ნიშნავს დროისა და ფულის გაღებას და მხარდაჭერის სხვა ფორმებით გამოხატვას ჩვეულებრივი მოქალაქეების მიერ სხვა ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ, და იმ კოლექტიური აქტივობებისთვის, რომელიც თემში ხორციელდება. თემი შეიძლება წარმოადგენდეს ერთობას გეოგრაფიული კრიტერიუმის მიხედვით ან ადამიანების გაერთიანებას საერთო იდენტობის ან ინტერესების გარშემო. ამგვარი გამცემების დახმარება ძალზე მნიშვნელოვანია ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციის და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ჯგუფების სიჯანსაღისთვის. გარდა ამისა, ამ პრაქტიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მრავალი სოციალური ცვლილების განხორციელებაში. ეს არის ფილანთროპია გრასრუტისგან და გრასრუტისთვის. ხშირად დამფინანსებლები სიამოვნებით ეხმარებიან ადამიანებს, მაგრამ მაინცდამაინც დიდ ენთუზიაზმს არ იჩენენ, როდესაც საქმე ეხება კონტროლის გაყოფას სამიზნე თემისთვის იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელიც თემების წინაშე მდგარი პრობლემის გადაჭრას ეხება. არც მაინცდამაინც ხალისიანად უთმობენ გზას თემიდან წამოსულ ინიციატივებს. ამგვარი ორაზროვანი დამოკიდებულება მოქალაქეთა ჭეშმარიტი მონაწილეობის მიმართ დამახასიათებელია ფონდებისთვის და ბევრი მიზეზი უდევს საფუძვლად. ქვემოთ შევეცდებით ამ მიზეზების განხილვას. გარდა ამისა, სწორედ ეს ორაზროვნება ქმნის ძირითად დაძაბულობას იმ მსჯელობაში, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებასა და ფილანთროპიის ირგვლივ მიმდინარეობს.

სახალხო, გრასრუტ ფილანთროპიის ცნება ხშირად გულისხმობს ხოლმე სათემო ორგანიზაციების მხარდაჭერას. სათემო ორგანიზაცია, ეს ერთგვარი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკრეტულ სამეზობლოსთან ან გეოგრაფიულად განსაზღვრულ თემთან და ემსახურება მათ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ სათემო ორგანიზაციას მართლაც აქვს იმ პრობლემების სიდრმისეული ცოდნა, რომლის წინაშეც დგანან ადგილობრივი მცხოვრებლები, მათ ყოველთვის არ ხელმძღვანელობს ადგილობრივი მაცხოვრებელი. ხანდახან მათი გუნდიც არ არის დაკომპლექტებული ადგილობრივი მოსახლეობით. გარდა ამისა, ასევე შესაძლებელია, რომ ამგვარი ორგანიზაციის მიერ დასახულმა მიზნებმა და ამ მიზნის განხორციელებისთვის შერჩეულმა მეთოდებმა გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვას ორგანიზაციასა და ადგილობრივ სამიზნე თემს შორის. “Grassroots Grantsmakers” – დამფინანსებლების ამერიკული ასოციაცია, შემდეგნაირად განმარტავს სახალხო, გრასრუტ ფილანთროპიას: „კონკრეტული ადგილით შემოსაზღვრული მიდგომა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ დაარსებულ ორგანიზაციებსა და მათ ლიდერებზე ურბანულ დასახლებებსა და სოფლის თემებში. როგორც წესი, მიდგომა მიზნად ისახავს იმ ადამიანების შესაძლებლობების განვითარებას, რომლებიც გაერთიანდნენ საკუთარი თემების გასაუმჯობესებლად იმ პროექტებისა და აქტივობების განხორციელების მეშვეობით, რომლებსაც

ეს ადამიანები მართავენ“.² გრანტების გამცემები, რომლებიც ამ მიდგომას ემხრობიან, რამდენიმე მეთოდს იყენებენ ადგილობრივ პრიორიტეტზე რეაგირების მიზნით. ამ მეთოდებს შორისაა მცირე გრანტების პროგრამა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც, შესაძლოა, სხვა მექანიზმებით ვერ შეძლონ დაფინანსების მოპოვება, სათემო თავყრილობების ფინანსური მხარდაჭერა, ლიდერობის პროგრამების გამოყენება ადგილობრივი ლიდერების შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით და ტექნიკური დახმარების და ტრენინგების გამოყენება სათემო ჯგუფებისთვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახალხო ფილანთროპიის დახასიათება ხანდახან ხდება არა იმ კრიტერიუმებით, რომლებიც ეხება მიმღების ბუნებას, ან მხარდაჭერილი აქტივობების ტიპს, არამედ იმას, თუ როგორ ხდება დახმარების გაცემა. მაგალითად, ბილ სომერვილი (Bill Somerville, 2008, 25) მოუწოდებს ქველმოქმედებს, გავიდნენ საკუთარი ოფისებიდან, რათა უფრო აქტიურად მოიძიონ „ის შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც მზად არიან გადასარევი საქმეები აკეთონ“. ამ შეხედულების თანახმად, ქველმოქმედებმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანონ ბიუროკრატია და უფრო მეტი დრო გაატარონ ოფისებს გარეთ, რათა თავისუფლად ეკონტაქტონ მათ, ვინც მნიშვნელოვანი ცვლილებების სათავეში დგას. რასაკვირველია, ცვლილებების მესვეურები, შეიძლება, სულაც არ იყვნენ ჩვეულებრივი მოქალაქეები, ან სამიზნე ჯგუფის წევრები ან წარმოადგენდნენ გრასრუტს (განსაზღვრების მიუხედავად). თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ის არის, რომ ყველა ტიპის და რჯულის ქველმოქმედი იმ ადგილებთან ცდილობს ახლოს მისვლას, სადაც თემის საჭიროებები ხვდება ინსტიტუციურ რეაგირებას.

ამ მრავალფეროვანი დახასიათების გათვალისწინებით, ნათელია თუ რატომ აინტერესებთ სახალხო, გრასრუტ ფილანთროპია როგორც თეორეტიკოსებს, ასევე პრაქტიკოსებსაც, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების სიჯანსაღით და სიცოცხლისუნარიანობით. გრასრუტ ფილანთროპია, თავისი მრავალი გამოვლინებით, იმედისმომცემ გზას გვთავაზობს ნებაყოფლობით აქტივობებსა და საჯარო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდასაჭერად. ჩართულობა, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს მოქალაქეებს შეიქმნან საკუთარი ხედვები ჯანსაღ საზოგადოებასთან დაკავშირებით (Edwards 2009). უკვე კარგადაა ცნობილი, რომ სახალხო ფილანთროპია მოქნილი ინსტრუმენტია თემების ასოციაციური ცხოვრების მხარდაჭერისთვის. ამავე დროს, იგი ეხმარება დამფინანსებლებს, კიდევ უფრო გააფართოვონ ხელმისაწვდომობა საზოგადოებრივ სიკეთეებზე და საჯარო სივრცეს შესძინონ როგორც ფორმა, ასევე შინაარსი და ხასიათი. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ მნიშვნელოვან განსხვავებებს, რომელიც არსებობს ფილანთროპიის ზემოთ ჩამოთვლილ სამ ტიპს შორის, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარე, რომლებიც გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის და სამოქალაქო მონაწილეობის ხარისხზე. ამ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლადია მოქალაქეთა კონტროლისა და მათი ქმედებებისთვის მიმართულების მიცემა (ან, სულ მცირე, მათი ჩართულობა და მონაწილეობა).

2. გრასრუტე ორიენტირებული ფილანთროპია, ფილანთროპია ხალხისთვის

ფილანთროპიის ეს ტიპი გულისხმობს, რომ ჩვეულებრივი მოქალაქეები ბენეფიციარები არიან, ანუ, მათზეა მიმართული დონორთა გულუხვობა და იმ საქმიანობის მომხმარებლები ხდებიან, რომლებიც სპეციალურად გამოყოფილი ფონდებისგან ფინანსდება. ამ შემთხვევაში, სამიზნე თემებს მოეთხოვებათ მხოლოდ თანამშრომლობა და იდეალურ ვარიანტში, მაღლიერების გამოხატვა. თუმცა, ამგვარი მიდგომა სულაც არ ნიშნავს, რომ დონორები აბუჩად იგდებენ ან პატივს არ სცემენ

ბენეფიციარებს. იმ დონორებისთვის, რომლებიც ფილანთროპიის ამ სახეობით არიან დაკავებულები, შესაძლოა მრავალი ხელშემშლელი ფაქტორი არსებობს, რომლებიც ბარიერებს ქმნის მოქალაქეთა მონაწილეობისთვის. ამგვარ ფაქტორებს შორის შეიძლება იყოს მწირი ადამიანური რესურსები, ან გრასრუტთან მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება. ზოგ შემთხვევაში, დონორმა, შესაძლებელია, იმით გააძლიეროს გრასრუტის კომპონენტი, რომ მხოლოდ ის პროექტები დააფინანსოს, რომელთა დიზაინიც სამიზნე თემებს ეკუთვნით და თვითონვე არიან პასუხისმგებლები მართვასა და შეფასებაზე.

კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც ირჩევენ დონორები გრასრუტზე მიმართულ ფილანთროპიას არის ის, რომ მათ უბრალოდ არ სურთ შუამავლების ჩართვა, რათა ზიანი არ მიაღწეს ურთიერთობას დონორებსა და მათი გულუხვობის ობიექტებს შორის. ამ შემთხვევაში დონორებს ურჩევნიათ თანხა პირდაპირ მიუვიდეს სამიზნე ჯგუფს და ხელფასები არ უხადონ არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებსა და სხვა სპეციალისტებს. ბრიტანული ფრენკ ბატლის ფონდის (Frank Buttle Trust) ბავშვთა მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა, მაგალითად, განაცხადებებს სოციალური მუშაკებისგან, ჯანდაცვის სფეროს თანამშრომლებისა და იმ ადამიანებისგან იღებს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებთან. ფონდის მიერ გაცემული ფული ხმარდება ღარიბი ოჯახებისთვის ისეთი პირველადი მოხმარების ნივთების შეძენას, როგორცაა ტანსაცმელი, საწოლები, თეთრეული და სხვა საჭირო ნივთები.³ თუმცა, შუამავლების თავიდან აცილების განზრახვას ყოველთვის როდი აქვს ასეთი ალტერნატიული საფუძვლები. მაგალითად, New York Times-ის 2009 წლის 13 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ამტკიცებდა, რომ ავღანეთში სოფლის მოსახლეობისთვის გაცემული მცირე გრანტები წარმოადგენდა აჯანყების პრევენციის სტრატეგიის ნაწილს და მიზნად ისახავდა „ხალხის დაშორებას თალიბანისგან და პროდასავლური მთავრობის მხარდაჭერას იმის დემონსტრირებით, რომ მთავრობას შეეძლო მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება“ (Tavernise 2009). ამგვარ სიტუაციაში ძნელია იმის უარყოფა, რომ განუვლი დახმარება წმინდად ინსტრუმენტალურ ხასიათს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ფილანთროპია ხალხისკენაა მიმართული, იგი ნამდვილად არ არის ხალხისთვის. ამ შემთხვევაში იგი ემსახურება ტაქტიკურ ან სტრატეგიულ მიზანს, რომელიც დიდი გეოპოლიტიკური თამაშის ნაწილია.

აღსანიშნავია, რომ გრასრუტზე მიმართული ფილანთროპია პოპულარულია როგორც კონსერვატორ, ასევე ლიბერალურად განწყობილ დონორებში. მაგალითად, ამერიკაში, პროგრესული ქველმოქმედების ერთ-ერთ მიზანს მარგინალიზებული ჯგუფების მხარდაჭერა და მათ შორის აქტიური მოქალაქეობის ნახალისება წარმოადგენს, რათა მათ შეძლონ და მონაწილეობა მიიღონ იმ პროცესებში, რომლებიც მათზე უშუალო გავლენას ახდენს და შესაბამისად, გახდნენ სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული აქტივობების მონაწილეები. ამ დონორებს კარგად ესმით, რომ მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილების მისაღწევად ზემოდან მომართულ პოლიტიკურ ქმედებას საჭიროა ქვემოდან წამოსული მოძრაობა დაუხვდეს. ეს „მარნუხის“ ეფექტი კარგად გამოჩნდა 1950-იან და 1960-იან წლებში ამერიკაში მიმდინარე სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლაში, როდესაც ნათელი გახდა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები საკმარისი არ იყო და ამიტომ ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში ახალი კანონმდებლობის აღსრულების მოთხოვნით (Levy 1998). თუმცა, ცხადია, რომ ადამიანების გაძლიერების მიზანი ყოველთვის არ გულისხმობს გადანაცვლებების მიღების თანაზიარ პროცესს. მაგალითად, ნიუ ორლეანის ფონდის სათემო პროგრამა IMPACT-ი (The Greater New Orleans Foundation's Community IMPACT Program)⁴ მიზნად ისახავს შტატის მეტროპოლიტანის რაიონში მცხოვრები უკიდურესად ღატაკი მოსახლეობის დახმარებას და ამისთვის გრანტებს გასცემს იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც მოქალაქეთა გაძლიერებას უწყობენ ხელს. პროგრამა შეიქმნა რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, თუმცა ამჟამად, გრანტების თაობაზე გადანაცვლებების მიღების პროცესში ადგილობრივი თემების წევრები არ მონაწილეობენ.

ამის მსგავსად, თუმცა განსხვავებულ იდეოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობით, ამერიკელი კონსერვატორები, რომლებიც მცირე მთავრობის იდეას უჭერენ მხარს, სახალხო ფილანთროპიას თემების (როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეების, ასევე ელიტების) გაძლიერების ინსტრუმენტად მიიჩნევენ, რომელმაც უნდა შეაჩეროს ძლიერი და ცენტრალიზებული მთავრობის მიერ ბაზრების მზარდი რეგულაციის, ვითომცდა ამორალური ქცევის დასჯისა და საგადასახადო სისტემის მანიპულირებით დოვლათის გადანაწილების უკანონო მცდელობები. მაგალითად, ბრედლების ფონდი (Lynde and Harry Bradley Foundation) აფინანსებს ისეთ პროექტებს, რომლებიც „ცდილობს ადგილობრივი და ტრადიციული ინსტიტუტების – ოჯახების, სკოლების, ეკლესიებისა და უბნების გაძლიერებას და რომლებიც უზრუნველყოფს ტრენინგს და სივრცეს, რათა ადამიანებმა შეძლონ აქტიური მოქალაქეობის იდეის პრაქტიკაში განხორციელება, საყოფაცხოვრებო მორალის შემდეგი თაობებისთვის გადაცემა და ინდივიდუალური ხასიათის ჩამოყალიბება.“⁵ გარდა ამისა, პროექტების დაფინანსებით ფონდი ასევე მხარს უჭერს „ძალაუფლების და ანგარიშვალდებულების დეცენტრალიზაციას ცენტრალიზებული და ბიუროკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტებისგან შორს და უფრო ახლოს ადგილობრივ დონესთან“. გარდა ამისა, ფონდი აფინანსებს ისეთ პროექტებსაც, „რომლებიც მიზნად ისახავს იმ მედიაციური სტრუქტურების გამოცოცხლებას, რომლებიც ხელს უწყობს მოქალაქეობის პრაქტიკაში გატარებას“. როდესაც საქმე მიდის ხოლმე ძლიერ ცენტრალურ მთავრობასთან დაპირისპირებამდე, ნებისმიერი ინტერესის გარშემო გაერთიანებულმა ადამიანებმა შეიძლება განაცხადონ, რომ ისინი გრასრუტის ინტერესებს წარმოადგენენ. ასე მოხდა, მაგალითად, კონსერვატულ ჩაის პარტიის (Tea Party Movement) მოძრაობის შემთხვევაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ საპროტესტო მოძრაობას სათავეში ედგნენ პოლიტიკური ელიტები, მაგალითად, სარა პალინი და ყოფილი კონგრესმენი ტომ ტანკრედო, მისი წევრები აცხადებდნენ, რომ ისინი „ეროვნულ კოლაბორაციულ-სახალხო გრასრუტ ძალას“ წარმოადგენდნენ, რომელთა მიზანი ბარაკ ობამას ადმინისტრაციის „გაკოტრებული ლიბერალური დღის წესრიგისა“ და ცალსახად დემოკრატიული 111-ე მონვევის კონგრესის მხილება იყო.⁶

რამდენადაა შედეგის მომტანი ხალხზე ორიენტირებული ფილანთროპია? მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, ცვლილებების ბევრი თეორია ავაგოთ იმ მიდნევებზე და საზოგადოების ტრანსფორმაციაზე, რომელიც სათემო პროექტების დაფინანსების შედეგად იქნა მიღწეული, ძალიან ცოტა დოკუმენტირებული მტკიცებულება არსებობს იმის თაობაზე, რომ ხალხზე ორიენტირებულმა, გრასრუტ ფილანთროპიამ, ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც ეს ინსტიტუციურ დონორებს ესმით, შეძლო რაიმე მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილების გამოწვევა და შენარჩუნება. ეს, ალბათ, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სიმწირის ბრალია და კიდევ იმისიც, რომ ფილანთროპიის ეს ტიპი ნაკლებად გამოკვლეულია. არც სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე მის გავლენის შესახებ არსებობს შეფასებისა და ინფორმაციის მომცემი სხვა დოკუმენტები. ინფორმაციის დიდი ნაწილი წერილობითაც კი არ არსებობს, და მხოლოდ ცოტა ხნის წინ შეიქმნა ცენტრალური რეესტრი, რომელიც აგროვებს ამერიკული ფონდების მიერ ჩატარებული და გამოქვეყნებული კვლევის შედეგებს.⁷ მაგრამ კიდევ უფრო მეტია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განვსაზღვრავთ ამგვარი ინტერვენციის მიზნებს: მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა გაძლიერების ან სიღარიბის შემცირების პროგრამებს შედეგად არ მოჰყოლია რაიმე ფართო მასშტაბიანი შედეგები, ეჭვგარეშეა, რომ მათ მაინც შეძლეს დადებითი ცვლილებების შეტანა სამიზნე თემებისთვის და საჯარო პოლიტიკის პროცესის გაჯანსაღებისთვის.

3. უთანასწორობა გენდერულად, ხალხთან ერთად

პარტნიორობა გრასრუტთან, რომლის ფარგლებშიც თემის წევრები ჩართულნი არიან გადანაცვ-
ტილების მიღების პროცესში, იმის გარანტიაა, რომ პროექტები თუ პროგრამები ნამდვილად პასუხობს
სამიზნე თემების პრობლემებს. ხალხთან მჭიდრო თანამშრომლობით, დონორები, მაშინაც კი
როდესაც მათ კეთილი ზრახვები ამოძრავებთ, თავს იბღვევენ საბოლოო ჯამში დესტრუქციული ჩარე-
ვისგან იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომლებიც საზოგადოების ყველაზე მარგინალიზებულ ჯგუფებს
წარმოადგენენ. ფილანთროპიას ხალხთან ერთად თავად დონორებისთვისაც მოაქვს სარგებე-
ლი იმ შემთხვევაში, თუ პროექტის დიზაინი და მართვა მონაწილეობრივ პრინციპებს ეფუძნება.
ამერიკული ორგანიზაციის Grassroots Grantmakers-ის მიხედვით, ამ მიდგომას „შეუძლია განავი-
თაროს ურთიერთობები და წარმოაჩინოს ის პერსპექტივები, რომელთა გათვალისწინებაც წაადგება
სხვა პროგრამულ მიმართულებებს და გაზრდის ორგანიზაციის სანდოობას და რეპუტაციას თემის
და მასთან დაკავშირებული პრობლემების სიღრმისეულად ცოდნის წყალობით. გარდა ამისა,
კიდევ უფრო იზრდება სხვა დონორებთან, ადგილობრივ მთავრობასა და სხვა ორგანიზაციებთან
თანამშრომლობის შესაძლებლობა. ფილანთროპია ხალხთან ერთად არის სტრატეგია, რომელიც
ამაღლებს დამფინანსებლების, როგორც თემის ლიდერების შესაძლებლობას, ხაზს უსვამს თემის
წინაშე ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვნებას და ამყარებს ორგანიზაციის განსაკუთრებულ
ადგილს თემში.“⁸ ერთ-ერთი დამფინანსებელი შემდეგნაირად აღწერს ურთიერთობის გამტკიცებას
ადგილობრივი სამეზობლოს წევრებთან: „ეს არის საწყისი წერტილი ბავშვებისა და თემებისთვის.
ეს არის ადგილი, სადაც ისინი ატარებენ ძირითად დროს. აქ ყალიბდება მათი ურთიერთობები. აქ
არიან ადამიანები, რომლებიც მათზე ზრუნავენ“ (Saasta and Senty 2009, 13). ამგვარად, თემებთან
თანამშრომლობა არის გარანტია, რომ მხარდაჭერილი პროექტები და აქტივობები „ჭეშმარიტად
ასახავს ადგილობრივ საჭიროებებს“, როგორც ამას სენატორი ალბერტ იერემია ბევერიჯი ამბობდა.
აღსანიშნავია, რომ სენატორი ბევერიჯი ცნობილია, როგორც ადამიანი, რომელმაც დაამკვიდრა
ტერმინი “grassroots” (Safire 2008, 289). თავის მხრივ, უპირატესად ადგილობრივ საჭიროებებზე
მორგებული პროექტების განხორციელება უზრუნველყოფს უკეთეს და ხანგრძლივადიან შედეგებს.

ჩრდილოეთ ირლანდიის სათემო ფონდს (The Community Foundation for Northern Ireland)
დიდი გამოცდილება აქვს გრანტების გაცემის პროცესში მონაწილეობრივი სტრუქტურების შექმნასა
და განვითარებაში. ევროკავშირის მშვიდობისა და შერიგების პროგრამის (European Union Peace
and Reconciliation Program) ფარგლებში ორგანიზაციამ დააარსა შვიდი კომიტეტი გრანტების
გაცემის პროცესში კონსულტაციის განწვევის მიზნით. მათგან ერთ-ერთი მთლიანად დაკომპლექტებული
იყო ჩრდილოეთ ირლანდიაში პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლებისგან. (Kilmurray 2009, 5).
კილმარი აღნიშნავს, რომ ეს მონაწილეობრივი სტრუქტურები მნიშვნელოვნად დაეხმარა ადგილობრივ
აქტივისტებს „გაეღრმავებინათ ცოდნა იმ დილემების შესახებ, რომლებიც [გრანტების თაობაზე]
გადანაცვტილების მიღების პროცესში წარმოიშვება ხოლმე. ეს ცოდნა მნიშვნელოვანია ასევე
იმიტომ, რომ აქტივისტებისგან ის გადაეცემა ადგილობრივ თემებსა და ჯგუფებს. ამ ინფორმაციამ და
მისმა გავრცელებამ თემში ხელი შეუწყო ინფორმაციისა და ცოდნის ბაზის ჩამოყალიბებას, რომელიც
შეეხო არა მხოლოდ პროცესში უშუალოდ ჩართულ ადამიანებს, არამედ ყველას ჩვენს გახლეჩილ
საზოგადოებაში. მან ხელი შეუწყო ქსელურ მუშაობასა და ურთიერთობების ჩამოყალიბებას“
(Kilmurray 2009, 6). ან, თუნდაც, ავიღოთ Fondo Centroamericano de Mujeres (FCAM) – ქალთა

ცენტრალური ამერიკული ფონდის მაგალითი, რომელთა Ola Joven-ის (ახალგაზრდული ტალღის) პროგრამა თექვსმეტიდან ოცდაათწლამდე ასაკის გოგონებისა და ქალების ჯგუფებს აერთიანებს. ეს პროგრამა მონაწილეობრივ შეფასებას იყენებს და მათი გრანტების გაცემის პროცესიც სწორედ ამ მიდგომას ეფუძნება. თანხის განაწილების პროცესში თვითონ განმცხადებლები აძლევენ ხმას იმ პროექტებს, რომლებიც უნდა დაფინანსდეს. ამის მსგავსად, გრანტის მიმღებები აფასებენ ერთმანეთის წლის განმავლობაში დაგროვილ მიღწევებსა და შედეგებს ფონდის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით.⁹

თუმცა, ამ სფეროს პრაქტიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მცდელობა მაშინვე კარგავს სათემო სულისკვეთებას, როდესაც დამფინანსებლები გადაწყვეტენ, რომ საჭიროა ფასილიტატორების, ტრენერების და სხვა პროფესიონალების ჩართვა. როგორც ითქვა, სწორედ ამ ნუთიდან კარგავს ამგვარი პროექტი ადგილობრივ ხასიათს და სულისკვეთებას. ამის მსგავსად, როდესაც დონორები ცდილობენ ადგილობრივი ლიდერების შემოკრებას, ისინი, როგორც წესი, ხშირად ეძებენ ხოლმე ადამიანებს, რომლებიც შუამავლების როლს შეასრულებენ და გეგმების შესრულებაში დაეხმარებიან – სანდო ადამიანებს, რომლებიც იზიარებენ მათ შეხედულებებს და შესაბამისადაც იცეციან. ამგვარ შემთხვევებში, სახალხო ფილანთროპია დემოკრატიის ილუზიის შთაბეჭდილებას ქმნის, თუმცა უძირო ნაპრალი მაინც რჩება დონორსა და თემს შორის. შეიძლება ისიც ითქვას, დონორები გაუცნობიერებლად იყენებენ თემებთან თანამშრომლობას საკუთარი ზრახვების შესანიღბად. მაგალითად, თემების აღორძინების ინიციატივის (Rebuilding Communities Initiative) აღწერაში ვკითხულობთ, რომ ამერიკული ანი ე. ქეისის ფონდს (Annie E. Casey Foundation), რომელმაც განახორციელა ინიციატივა, ორი თითქოსდა წინააღმდეგობრივი ამოცანა ჰქონდა დასახული. მაგალითად, პირველი ამოცანა იყო „მოექცია ადგილობრივი მოსახლეობა თემის გამოცოცხლების ინიციატივის ცენტრში“, რაც იმას ნიშნავდა, რომ თვითონ ადგილობრივ მცხოვრებლებს უნდა განესაზღვრათ, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო მათი თემი ინიციატივის განხორციელების შედეგად. თუმცა, ამავე დროს, სამიზნე თემს ასევე უნდა „განესაზღვრა მათ სამიზნე არეალში მცხოვრები ტრადიციულად მარგინალიზებული და იზოლირებული ჯგუფები, დაემყარებინა მათთან კავშირი და ჩაერთო ინიციატივის განხორციელებაში“. ამას გარდა, სამიზნე თემს უნდა დაემტკიცებინა, რომ „მათ მიერ შეთავაზებული ცვლილებების გეგმის განხორციელება გამოიწვევდა სისტემურ ცვლილებებს სათემო დონეზე“ (2002, 6). მონაწილეებს ასევე სთხოვეს „გარდაეჭმნათ მოცემულ თემში თემის აღორძინების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები რაიმე ტიპის კოლექტიურ გეგმად და იმ მოქმედებების ერთობლიობად, რომლებიც საჭირო იყო დასახული ცვლილების მისაღწევად“.

ამ შემთხვევაში პროფესიონალიზებული ფილანთროპიული აქტივობების კულტურა ეწინააღმდეგება ადგილობრივ თემებს. ფილანთროპიის სოციოლოგია და ანთროპოლოგია უკეთ რომ იყოს შესწავლილი, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა ამ კულტურული წინააღმდეგობების დინამიკის უკეთ გაგება. სამწუხაროდ, ინდივიდუალური თუ ინსტიტუციური დონორების კულტურული თავისებურებების შესახებ ინფორმაციის პირველწყარო პრაქტიკოსების ანგარიშები ან შთაბეჭდილებებია, რომლებიც ხანდახან ბლოგებად ქვეყნდება ან სტატიებად იბეჭდება, თუმცა ძირითადად ფილანთროპიის ირგვლივ ორგანიზებული კონფერენციების კულუარებში რჩება ხოლმე. როგორც კუნი (Kuhn, 1962) ამბობს თავის ცნობილ თეზისში, მეცნიერებაში არ არსებობს თეორიისგან მიუკერძოებელი დაკვირვებები. ეს თეზისი ფილანთროპიის შემთხვევაშიც აქტუალურია: როდესაც დონორებს სურთ ინფორმაციის მიღება თემისგან, ისინი ხშირად ირჩევენ ვის უნდა მოუსმინონ და მოსმენის შემდეგ, რა ინფორმაციაზე გააკეთონ რეაგირება. დონორები ხშირად ფილტრავენ ინფორმაციას. ზოგჯერ ამ გაფილტვრას სენსიტიური ხასიათი აქვს, ზოგჯერ – არც თუ ისე. დონორები ხშირად ეძებენ მათი აზრით საჭირო ცვლილებების თეორიის მტკიცებულებას და არც თუ ისე იშვიათად უგულებელყოფენ იმ ინფორმაციას, რომელსაც

შეუძლია თავდაყირა დააყენოს მათი მსოფლმხედველობა. ქველმოქმედებს მოსწონთ ხოლმე ეგრეთ წოდებული „მოსმენის ტურების“ ჩატარება იმ თემებში, რომლებსაც თვითონ ეხმარებიან და ბევრი ფულისა და დროის დახარჯვის შემდეგ, როგორც წესი, დაასკვნიან ხოლმე, რომ „ღარიბები ზუსტად ჩვენნაირები არიან“ – მათ ჩვენსავით სურთ, რომ ბავშვებმა კარგი განათლება მიიღონ, იცხოვრონ მონესრიგებულ სახლებში, ხელი მიუწვდებოდეთ ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე და ჰქონდეთ მაღალანაზღაურებადი და შინაარსიანი სამსახური. ყოველ შემთხვევაში, ზემოთქმულს არავინ აპროტესტებს, მაგრამ პრობლემა მაშინ იჩენს თავს, როდესაც ქველმოქმედები იწყებენ ისეთი დამატებითი დასკვნების გაკეთებას, რომლებიც განსხვავდება თემების მიერ განცდილი რეალობისგან.

მაგალითად, 1992 წელს ბოსტონის ფონდმა (Boston Foundation) სიღარიბის აღმოფხვრის პროექტის ფარგლებში ჩაატარა სათემო მრგვალი მაგიდის შეხვედრების ციკლი. სიღარიბის პრობლემის შესწავლის მიზნით ფონდმა შეკრიბა ორმოცდასამი წევრისგან შემდგარი სტრატეგიული განვითარების ჯგუფი. ჯგუფის წევრები ბევრ სხვადასხვა ჯგუფს წარმოადგენდნენ. როგორც პროექტის დირექტორი შარლოტ კანი (Charlotte Kahn) ამბობს “ჩვენ ყურადღებით მოვუსმინეთ როგორც თემებს, ასევე ერთმანეთსაც, რის შედეგადაც ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ თაობებში არსებული სიღარიბის დაძლევის მიზნით ჩვენ უნდა შეგვიშუავოთ მიდგომა, რომელიც განსხვავებულია სიღარიბის დაძლევის ტრადიციული პრაქტიკისგან. ამ მიდგომის ცენტრში დგას თემების გაძლიერების ამოცანა, რომლის საშუალებითაც ჩვენ ბოლოს მოვუღებთ სიღარიბეს. ჩვენ უარს ვამბობთ გავაგრძელოთ ის პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს დაბალშემოსავლიანი თემების მომსახურებას და მათ მხოლოდ „კლიენტებად“ აღიქვამს. ნაცვლად ამისა, ჩვენ გავაძლიერებთ თემების შესაძლებლობას, რომლის წევრებიც ნაცვლად კლიენტებისა, იქნებიან ჩვენი კოლეგები, მეზობლები და მოქალაქეები.”¹⁰ ამ პარადიგმის მიხედვით, ღარიბების დახმარების საუკეთესო საშუალება მათი გაძლიერება და წახალისებაა, რათა დაბალშემოსავლიანმა თემებმა თვითონ შეძლონ მოქმედება. მათი, როგორც კოლეგების, მეზობლების და მოქალაქეების გაძლიერებით, ღარიბი თემები უფრო თამამად შეძლებენ ინიციატივის ხელში აღებას, სამეზობლო საბჭოებში გაერთიანებას, განწვრილდებიან კომისიებში და უფრო გაბედულად დააყენებენ საჭირობო საკითხებს არჩეული ხელისუფლების წევრების წინაშე. და მაინც, რამდენი დაბალშემოსავლიანი მოქალაქე იტყვის უარს სოციალური დაცულობის მძლავრ ქსელზე პოლიტიკური აქტივიზმის კაპრიზების სანაცვლოდ? ან იგივე დასკვნამდე თუ მივიდოდა დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების სხვა ჯგუფი? ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ დაბალშემოსავლიან ოჯახებთან ამერიკაში (ან ისინი, ვინც თვითონ არიან ასეთი ოჯახებიდან) კარგად იცნობენ იმ დედებსა და მამებს, რომლებიც გადაღლილები არიან ორ ან მეტ სამსახურში მუშაობით და სიღატაკესთან ბრძოლით. როდესაც სამსახურისგან გადაღლილები საღამოს ვახშამს მოამზადებენ და რამდენიმე საათს გაატარებენ შინ, ბავშვებთან, განა რამდენს ეყოფა ენერჯია გაუძღვეს ქალაქის საბჭოს სხდომას? საშიშროებას წარმოადგენს ის, რომ როგორც მეთვრამეტე საუკუნის სენტიმენტალიზმის „კეთილშობილი ველურების“ შემთხვევაში მოხდა, ჩვეულებრივი მოქალაქეები დონორების მიერ საკუთარი თავების იდეალიზებულ ვარიანტად იქცევიან, ხოლო ამ მცდარ წარმოდგენას გაამყარებს ცვლილებების ის თეორიები, რომლებიც მიჩქმალავენ დაბალშემოსავლიანი ღარიბი მოსახლეობის მძიმე რეალობას. ხალხთან ერთად ფილანთროპიის ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ ამგვარი მიდგომა ჰარმონიულად ითავსებს დონორებისა და სამიზნე თემების ძლიერებას და სუსტ მხარეებს უფრო ფართომასშტაბიანი შედეგის მისაღწევად. შედეგის, რომელიც არ ემყარება მხოლოდ ერთი რომელიმე მხარის – ანუ, დონორების ან თემების, იდეებსა და რესურსებს. არსებობს მოსაზრება, რომ ღარიბებმა სხვებზე უკეთ არ იციან, როგორ უნდა აღმოფხვრან სიღარიბის გამომწვევი მიზეზები ან გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები მაშინ, როდესაც პროფესიონალებს შეიძლება უკეთესი წარმოდგენა ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშობა და ნაწილდება ძალაუფლება და პრივილეგიები კონკრეტულ სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში. ჩიკაგოს ფონდებმა, მაგალითად

შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს ეს საკითხი: „ხანდახან, ადგილობრივი სტრატეგიები არ არის საკმარისი მიზნის მისაღწევად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გარეშე ძალები ახდენს გავლენას შექმნილ ვითარებაზე... როგორ შეიძლება გავიგოთ ის, რომ ორგანიზება ადგილობრივ დონეზე ხდება, მაგრამ თუკი ის უფრო ფართომასშტაბიანი ძალისხმევის ნაწილი არ არის, რას შეიძლება მოველოდეთ მისგან? მცირე გრანტებს შეუძლია იზოლაციაში მოაქციონ ან გაანეიტრალოს უფრო ფართო მასშტაბიანი სისტემური ცვლილებები, თუ არავინ იზრუნებს მათ გაზრდაზე და დაკავშირებაზე თემში მიმდინარე მოვლენების გამომწვევ მიზეზებთან“ (Saasta and Senty 2009, 36). იმის ნაცვლად, რომ გადავიხაროთ ფილანთროპიისკენ ან ზედმეტად დავეყრდნოთ მხოლოდ ადგილობრივ ცოდნას, ალბათ ყველაზე კარგი იქნება თუ გავაცნობიერებთ განსხვავებულ პერსპექტივებს და მხარს დავუჭერთ სამუშაოს განაწილებას დონორებსა და თემებს შორის. ადამიანები, რომლებიც ერთიანდებიან სოციალური ცვლილებისთვის, სხვადასხვა გამოცდილებით, პერსპექტივებითა და უნარებით მოდიან და უკლებლივ ყველა მათგანია აუცილებელი წარმატებული სოციალური ცვლილებებისთვის.

4. ზიანთროპია გიანტების მიერ, ზიანგროპია ხალხისგან

განსაკუთრებით იმედისმომცემია ის პროექტები თუ ინიციატივები, რომლებიც ხალხის მიერ ფინანსდება. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ გაღებული თანხა ხშირად მცირეა, განსაკუთრებით ინსტიტუციური დონორების ფინანსურ დახმარებასთან შედარებით, ამ თანხით განხორციელებული პროექტები უფრო დიდი მხარდაჭერით სარგებლობს თემის წევრებს შორის, რომლებიც საკუთარ დროსა და ფულს ხარჯავენ იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე. ამერიკაში ამის კარგი გამოცდილება არსებობს. მაგალითად, კერძო შემოწირულობებმა წარმატებით დააგვირგვინეს ქალების ხმის მიცემის უფლებისთვის ბრძოლა, ხოლო ეკლესიის მიერ მოგროვილმა შემოწირულობებმა სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლას 1950-იან წლებში ძალა და ენერჯია შემატეს. 2007 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქველმოქმედო შემოწირულობების 74.8 პროცენტი (სულ 229 მილიარდი დოლარი) კერძო პირებისგან შემოვიდა, ხოლო ფონდებისა და კორპორაციების მიერ გაღებულმა თანხამ მხოლოდ 17.7 პროცენტი შეადგინა.¹¹ პირადი შემოწირულობების დაახლოებით მესამედი რელიგიურ ინსტიტუტებზე განაწილდა, 14.1 პროცენტი განათლებაზე დაიხარჯა, 9.7 – სერვისებზე, ხოლო 7.6 პროცენტი – ჯანდაცვაზე. 2007 წელს, ამერიკაში 61.3 მილიონმა ადამიანმა იმუშავა მოხალისედ, რომლებმაც ჯამში 8.1 მილიარდი საათი გაიღეს, ანუ საშუალოდ 34.7 საათი ერთ მოქალაქეზე.¹²

ჩვეულებრივი მოქალაქეების ეს უზარმაზარი პოტენციალი, რასაკვირველია, გლობალური ფენომენია, მაგრამ მისი გამოვლენის ფორმები და მოტივაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება კონტექსტების მიხედვით, მაგალითად, როგორც სუზან უილკინსონ-მაპოსამ და მისმა კოლეგებმა დაადგინეს (Susan Wilkinson-Maposa et al, 2006), სხვების დასახმარებლად საკუთარი რესურსის გაცემის პრაქტიკა მოსალოდნელზე უფრო გავრცელებულია მოზამბიკში, ნამიბიაში, სამხრეთ აფრიკასა და ზიმბაბვეში, მიუხედავად იმისა, რომ გაეროს განვითარების პროგრამის ადამიანის განვითარების ანგარიშის მიხედვით, აფრიკის სამხრეთ ნაწილში უხეში გაანგარიშებით 20 მილიონი ადამიანი ცხოვრობს სიღატაკეში, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი დღიური შემოსავალი 1 აშშ დოლარზე ნაკლებია.¹³ იმ ენებში, რომლებზეც ზემოთ ნახსენებ ქვეყნებში ლაპარაკობენ, არ არსებობს „ფილანთროპიის“ შესატყვისი და თვითონ ეს სიტყვაც ნაკლებ რეაქციას იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში მისი მონეტარული კონოტაციის გამო და ასევე იმიტომ, რომ „ფილანთროპია“ გულისხმობს ერთის მიერ გაცემას და მეორეს მიერ მიღებას. ამ ქვეყნებში ღარიბების მიერ გაცემული დრო, ფული თუ დახმარება

გაცვლითობის ძალზე მალე ხარისხით ხასიათდება. ამ ლინგვისტურ-კულტურული გამოწვევის საპირინონედ ვილკინსონ-მაპოსამ და მისმა კოლეგებმა გადაწყვიტეს, რომ „ფილანთროპიის“ ნაცვლად „დახმარების“ გამოყენება უფრო სწორი იყო. მათი კვლევის მიგნებები ეჭვქვეშ აყენებს იმ ფართოდ გავრცელებულ შეხედულებათაგან ზოგიერთს, რომელიც ეხება ხალხის მიერ ფილანთროპიას – ფილანთროპიას გრასრუტებისთან და გრასრუტების მიერ. როგორც ირკვევა, ღარიბებში საკამოდ გავრცელებულია გაცემის პრაქტიკა, თუმცა ფილანთროპიული აქტის არქეტიპი – ალტრუიზმით და გულუხვობით მოტივირებული დონორი, რომელიც საკუთარ წყალობას დიდსულოვნად გასცემს მადლიერი მიმღების სასარგებლოდ, თითქმის არ გვხვდება შესწავლილ კონტექსტში. მკვლევარების მიხედვით, „დახმარება ყოველთვის არ არის, ან აუცილებელი არ არის, რომ იყოს „თავისუფალი“ არჩევანი. ამგვარი ქმედება ხშირად განპირობებულია სოციალური და მორალური ვალდებულებებით. ჩემი ადამიანობა იბღალბა, თუ შენსას არ სცნობენ და საჭიროების შემთხვევაში არ გეხმარები“ (Wilkinson- Maposa 2006, xi).

წიგნში „ენრიკეს მოგზაურობა“ ავტორი სონია ნაზარიო აღწერს ახალგაზრდა ჰონდურასელი ბიჭის ოდისეას, რომლის დროსაც მას დაუჭერბელი სიძნელების გადალახვა უწევს ამერიკაში მყოფ დედასთან ჩასასვლელად (Nazario 2006). ენრიკეს დედამ, რომელსაც შვილების გამოკვება აღარ შეეძლო, ოჯახი დატოვა და სამუშაოს საძებნელად ამერიკაში წავიდა. ენრიკე, სხვა ბევრი მისნაირის მსგავსად, სატვირთო მატარებლის გვერდებზე ჩამოკიდებული ან სახურავზე განოლილი მიემგზავრება ჩრდილოეთისკენ. ეს ძალიან საშიში მოგზაურობაა. მატარებელი გაივლის მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის ყველაზე დატაკ რაიონებს. მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებლები მაინც ახერხებენ მატარებლის ჩამოვლისას მასზე ჩამოკიდებული ემიგრანტებისთვის პატარა შეკვრების სროლას: „ფუთებშია სვიტერები, ტორტილა, პური, ლიმონათით სავსე პლასტმასის ბოთლი. ხაბაზი, ფქვილში რომ აქვს ხელები ამოგანგლული, პურს ისვრის მატარებლის მიმართულებით. მკერავი სენდვიჩებით სავსეს ჩანთას ისვრის... სიბერისგან მხრებში მოხრილი მარია ლუიზა მორა მარტინი, ას წელს რომ გადასცილებია და ახსოვს როგორ ჭამდა მექსიკის რევოლუციის დროს ერთადერთ საკვებს – ბანანის ხის ქერქს, ცდილობს დაკოჟრილი ხელებით სწრაფად გამოკრას ფუთაში ტორტილა, ლობიო და სალსა, რომ მერე მისმა 70 წლის ქალიშვილმა სოლედად ვასკესმა ფერდობზე ჩაირბინოს და ფუთა მატარებელზე შეაგდოს (Nazario 2006, 105). ეს სიკეთე საკამოდ ძვირად უჯდება მის გამცემებს – ნაზარიოს წიგნის გმირებს, რომლებსაც ძლიერი მოტივაცია ამოძრავებთ, სწორედ ის მოტივაცია, რომელიც საფუძველს უყრის ხალხის მიერ ფილანთროპიას.

აღსანიშნავია, რომ ხალხის მიერ გაღების პრაქტიკა ყველასთვის ინდივიდუალური აქტი როდია. „გამცემთა წრეები“ („giving circles“), მაგალითად, ქმნიან მონაწილეობრივი ფილანთროპიის ისეთ ფორმას, რომელიც სულ უფრო თვალსაჩინო ხდება და მის მიმართ მხარდაჭერაც თანდათანობით იზრდება. გაღების ეს ფორმა გულისხმობს, რომ ჩვეულებრივი მოქალაქეები თავს უყრიან ფულს და ქმნიან ფონდს, იკრიბებიან გარკვეული ინტერვალებით, რათა იმსჯელონ არსებული პრობლემების შესახებ და შემდეგ ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას, თუ ვის უნდა გადასცენ თანხა. 2006 წელს განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლინდა გამცემთა 160 წრე მხოლოდ ამერიკაში, რომლებშიც მონაწილეობდა 11.700 დონორი და რომლებმაც 88 მილიონი დოლარი შესწირეს სათემო საჭიროებების დაკმაყოფილებას. ძირითადად, ეს თვითორგანიზებული ჯგუფები, უამრავ სხვადასხვა პრობლემას აგვარებენ თავიანთი კონტრიბუციით. აღსანიშნავია, რომ ქალების, ახალგაზრდების და „არატრადიციული“ ქველმოქმედების წილი ამგვარ წრეებში ყველაზე დიდია (Bearman 2007). გაცემის წრეები ძალზე საინტერესო მარშრუტს ქმნიან სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისთვის. ისინი აერთიანებენ მოქალაქეებს საერთო სარგებლის გარშემო და ქმნიან სტრუქტურას, რომელთა მეშვეობით, მოკრძალებული შემოსავლის მქონე ადამიანებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გაცემის უფრო ფორმალურ პროცესში.

5. დასკვნა: ნამდვილად გუშაობს თუ არა სახალხო, გზასაუზ ზიანთროპია?

კვლევისა და შესაბამისი მონაცემების სიმწირე გრასრუტ ფილანთროპიის ირგვლივ გაჩენილ ბევრ კითხვას პასუხგაუცემელს ტოვებს. ხომ არ იყო სახალხო, გრასრუტ ფილანთროპია ის გასაღები, რომელმაც გააჩინა სოციალური მოძრაობები და საზოგადოებები გარდაქმნა, როგორც ამას ბევრი ეჭვობს? თუ მხოლოდ მეორადი ფაქტორის როლს თამაშობს განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მისი მიზნები და მეთოდები საზოგადოების ელიტების მიერ არის ნაკარნახევი? შეუძლია თუ არა გარედან შემოდინებულ ფულს შექმნას გამძლე და ძლიერი კავშირები თემის შიგნით მათთვის, ვინც ძალისხმევას არ იშურებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის? თუ სოციალური ერთობის მოდური შეგრძნება მაშინვე ქრება, როგორც კი დონორების დაფინანსება წყდება? რასაკვირველია, ფილანთროპიის წყალობით ბევრი გამარჯვება ვიხივით ადგილობრივ დონეზე, მაგრამ შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ ამ დანაწევრებული მცდელობების მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე მათი ჯამისა? იმ შემთხვევებს რაღა ვუყოთ, როდესაც სახალხო, გრასრუტ ფილანთროპიამ შეიძლება საპირისპირო შედეგებამდე მიგვიყვანოს და გაერთიანების და გაძლიერების ნაცვლად დაასუსტოს სამოქალაქო საზოგადოება და შიდა სეგრეგაციას შეუწოს ხელი?

ამ კითხვებიდან ნაწილს პასუხობს ფილანთროპიის კონკრეტული ფორმა. მაშინ როდესაც დაბალშემოსავლიან თემებში გაცემის და მიღების პრაქტიკა შეიძლება გადარჩენის საკითხი იყოს, სახალხო ფილანთროპიის მიმდევარი ბევრი დონორი ცდილობს ხელი შეუწყოს ისეთ სოციალურ ცვლილებას, რომელსაც უფრო ღრმა და გამძლე ეფექტი ექნება, რადგან მოქმედების კურსი თვითონ ღარიბი თემების მიერ არის განსაზღვრული. ფილანთროპიაში ხალხის მიმართ და ხალხთან ერთად, ელიტების ხედვები და ინსტიტუციური ნორმები ხშირად მოდის წინააღმდეგობაში ჩვეულებრივი მოქალაქეების პრიორიტეტებსა და კულტურასთან. თუმცა, ბევრ დონორს მხოლოდ კეთილი განზრახვა ამოძრავებს და მათ მიერ განეულ სამუშაოსა და თემების ჭეშმარიტ სურვილებს შორის არსებული დისონანსის შემცირების გულწრფელი სურვილი. რასაკვირველია, საშინელი ისტორიებიც ახლავს ამ განზრახვებს,¹⁴ მაგრამ ეს ამბები ვერ ავნიხებს ადამიანური სიკეთის მნიშვნელობას ან ამგვარ მცდელობებს სახალხო ფილანთროპიის ეგიდით. კიდევ უფრო შორს რომ წავიდეთ, შეიძლება დავინახოთ, რომ ეს წინააღმდეგობები შესაძლებლობებსაც იძლევა იმ ურთიერთობების გასადრმავებლად, რომლებიც ზრდიან ფილანთროპიის შანსს გახდეს უფრო დიდი სოციალური ცვლილების საფუძველი. ბოლოს და ბოლოს, ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებაში ჯანსაღი კონფლიქტების ადგილი ზუსტად ისევეა, როგორც საერთო ღირებულებებისა და ხედვებისა.

დონორებისთვის, რომლებსაც მიზნად აქვთ დასახული სოციალური პრობლემების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და ამ საქმისთვის გაცემენ თანხას, სახალხო, გრასრუტ ფილანთროპია უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. ცხადია, რომ სილატაკის გამომწვევი მიზეზის გამოვლენა კონცეპტუალურად რთული საქმეა მით უმეტეს, შეზღუდული რესურსების პირობებში. სილატაკის ფენომენი ერთ-ერთია საკმაოდ დინამიური სისტემის იმ მრავალ ნაწილთაგან, რომლებიც რთული გზებით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ კომპლექსურ სისტემას არ აქვს ხილული ფესვები, რომელსაც სარეველასავით ამოვთხრიდით. მიუხედავად ამისა, კიდევ დიდხანს დაგვისხლტება ხელიდან გამოსავალი სილატაკისა და დისკრიმინაციიდან, თუ არ ვისწავლეთ ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებაში ღრმად დამკვიდრებული სიბრძნისა და აქტივიზმის გაკვეთილები. ამ მხრივ გრასრუტ ფილანთროპია ხალხთან ერთად, ხალხის მიერ და ხალხიდან მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც აყალიბებს და ამყარებს იმ შესაძლებლობებსა და კავშირებს, რომლებიც აუცილებელია სამომავლოდ სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

შენიშვნები

1. საკითხების შესახებ, რომლებიც სოციალურ სამართლიანობას ეხება, იხ. (Ruesga and Puntene-ney 2010), ხელმისაწვდომია აქ: www.p-sj.org. ტერმინ „სოციალური მენარმესთან“ დაკავშირებული გაურკვევლობა ხშირად კომენტირებული ზემოთ.
2. შდრ. <http://www.grassrootsgrantmakers.org/page11805.cfm>.
3. ბავშვების მხარდამჭერი გრანტების პროგრამა იხილეთ Frank Buttle Trust-სი ვებსაიტზე: http://www.buttletrust.org/grant_aid/applying_for_a_child_support_grant/.
4. Greater New Orleans Foundation-ის ვებსაიტი ხელმისაწვდომია აქ: <http://www.gnof.org/programs/community-impact/overview/>.
5. ლინდა და ჰარი ბრედლის ფონდის ვებსაიტი: http://www.bradleyfdn.org/program_interests.asp.
6. შდრ.: <http://taxdayteaparty.com/about/>.
7. აშშ-ში დაფუძნებული Foundation Center-ი შეეცადა ამოეცა არსებული ცოდნის სიმწირე პროგრამების თავმოყრითა და პუბლიკაციით გრანტების გამცემთა დაკვეთით. ხელმისაწვდომია აქ: <http://foundationcenter.org/>.
8. გრანტების გამცემთა საიტი გრასრუტებისთვის. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.grassroots-grantmakers.org/page11805.cfm>.
9. ეს პროფაილი ეფუძნება FCAM -ის თანამშრომლების ინტერვიუებს William Niedzwiecki-სთან, რომლებიც ჩატარდა კვლევის მოსამზადებლად საერთაშორისო კონფერენციის „ფილანთროპია სოციალური სამართლიანობისა და მშვიდობისთვის“ სამუშაო ჯგუფის მიერ. უფრო დანვრისთვის იხ. აქ: www.p-sj.org
10. სტატია „ბოსტონის აღდგენა“ ხელმისაწვდომია აქ: <http://bostonreview.net/BR19.3/kahn.html> მუდმივი სილარისის პროექტის პუბლიკაციების და სხვა მასალების არქივები ხელმისაწვდომია აქ: <http://www.library.neu.edu/archives/collect/fi ndaids/m127fi nd.htm>.
11. იხ.: Giving USA 2008.
12. ამერიკის მოხალისეობის ეროვნული და სათემო სერვისების საიტი, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.volunteeringinamerica.gov/national>
13. იხ.: <http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2005/>
14. იხ.: მაგ. Draper (2005).

ბიბლიოგრაფია

- Bearman, J. 2007. *More Giving Together: The Growth and Impact of Giving Circles and Shared Giving*. Washington, D.C.: Forum of Regional Associations of Grantmakers.
- Draper, L. 2005. "Funder's Little Shop of Horrors: Misguided Attempts at Nonprofit Capacity Building." *Foundation News and Commentary* vol. 46(5): 18–27.
- Edwards, M. 2009. *Civil Society*. 2nd ed. Cambridge: Polity Press.
- Kilmurray, A. 2009. *Grassroots Philanthropy: A Personal Perspective*. Belfast: Community Foundation for Northern Ireland.
- Kuhn, T. 1962. *The Structure of Scientific Revolutions*. Chicago: University of Chicago Press.
- Levy, P. 1998. *The Civil Rights Movement*. Westport, Conn.: Greenwood Press.
- Nazario, S. 2006. *Enrique's Journey*. New York: Random House.
- Ruesga, G., and Puntenney, D. 2010. *Social Justice Philanthropy: An Initial Framework for Positioning This Work*. New York: Working Group on Philanthropy for Social Justice and Peace.
- Saasta, T., and Senty, K. 2009. "Building Resident Power and Capacity for Change." Available at http://www.diaristproject.org/files/Building_Resident_Power.pdf.
- Safire, W. 2008. *Safire's Political Dictionary*. New York: Oxford University Press.
- Somerville, B. 2008. *Grassroots Philanthropy: Field Notes of a Maverick Grantmaker*. Berkeley: Heyday Books.
- Tavernise, S. 2009. "Afghan Enclave Seen as Model to Rebuild, and Rebuff Taliban." *The New York Times*, November 13.
- The Center on Philanthropy at Indiana University. 2008. *Giving USA 2008*. Indianapolis, Ind.: Giving USA Foundation.
- Traynor, B. 2002. *Reflections on Community Organizing and Resident Engagement*. Baltimore: The Annie E. Casey Foundation.
- Wilkinson-Maposa, S., A. Fowler, C. Oliver-Evans, and C. Mulenga. 2006. *The Poor Philanthropist: How and Why the Poor Help Each Other*. Cape Town: University of Cape Town, Graduate School of Business.